განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
ავიაციის ფინანსები

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

შეფასებისთარიღ(ებ)ი: 22 მაისი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 9 ივლისი, 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმეგბლობის საზოგადოება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206155328
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ავიაციის ფინანსები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0412 - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო ხუნდაძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან გოგოლაძე, ბიზნეს საკონსულტაციო კომპანია PMO, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკოლოზ ბაგაური, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისსამაგისტრო პროგრამამ „ბიზნესის ადმინისტრირება ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი“ 2015 წელს გაიარა აკრედიტაცია (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #113, 28.07.2015). პროგრამისახლანდელი დასახელებაა „ავიაციის ფინანსები“.

ავიაციის ფინანსების სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, 4 სემესტრი.

ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 95 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის, 20 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს, 10 კრედიტი - პროფესიულ პრაქტიკას, 15 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს, ხოლო 10 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი კომპონენტებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას (20 კრედიტი) და პროფესიულ პრაქტიკას (10 კრედიტი)ეთმობასწავლების ბოლო სემესტრი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიერ მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პანდემიის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგმარეობიდან გამომდინარე განხორციელდა ონლაინ რეჟიმში 2020 წლის 22 მაისს. ონლაინ შეხვედრები ჩატარდა განრიგით განსაზღვრულ ყველა ჯგუფთან, კერძოდ, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, პრაქტიკის განმახორციელებლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

ონლაინ გასაუბრება განხორციელდა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთანაც. გასაუბრების პროცესში გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის ფუნქციონირება და კატალოგის საშუალებით აგადამოწმდა რამდენიმე სავალდებულო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში არსებობა, ასევე, გადამოწმდა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე წვდომა.

ონალაინ ვიზიტის დროს გადაიხედა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები.

გასაუბრებები განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ძირითადი მიგნებების გაცნობა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ავიაციის ფინანსების სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული შეფასებებისა და დასკვნის საფუძვლეზე გამოიკვეთა:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია რეგულარულად განხორციელდეს სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის შეფასება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, შედეგების დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება;
  - რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში დამსაქმებლების მხრიდან არა მხოლოდ ავიაციის, არამედ, ფინანსების სფეროს სპეციალისტების ჩართულობაც, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შნაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას;
  - რეკომენდებულია გასწორდეს და დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების პირობები როგორც პროგრამის ტექსტში, ასვე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა არ მოხდეს მისაღებ კანდიდატთა შეცდომაში შეყვანა;
  - რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს ფინანსების სფეროსთვის მნშვნელოვანი ისეთი საკითხები, როგორიცაა: უძრავი ქონების შეფასება, ბიზნესის შეფასება;

- ✓ რადგანაც საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ვთვლით, რომ შესაძლებელია სასწავლო კურსებში მეტად ინტენსიურად იყოს გამოყენებული უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა შესაბამისი ქართულენოვანი უახლესი ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი;
- ✓ რეკომენდებულია გაკონტროლდეს რამდენად მიიღწევა პრაქტიკის ობიექტებზე სწავლის ის შედეგები რაც საწარმოო პრაქტიკის კომპონენტითაა დადგენილი, კერძოდ, გაკონტროლდეს პრაქტიკის ობიექტზე სად და რა ტიპის სამუშაოების შესრულებით არის სტუდენტი დაკავებული;
- ✓ რეკომენდებულიაგაკონტროლდეს თუ რა ტიპის მუშაობის გამოცდილების შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის განთავისუფლება პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან;
- ✓ რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშორმლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითება;
- ✓ რეკომენდებულია ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიზნით დაწესებულება თანამშორმლობდეს მეტწილად არა მხოლოდ ავიაკომპანიებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ცენტრებთან, არამედ გაძლიერდეს თანამშრომლობა სხვა ისეთ კომპანიებთანაც, სადაც შესაძლებელია ფინანსების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარების გამომუშავება;
- ✓ რეკომენდებულია მეტად მიექცეს ყურადღება სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხს;
- ✓ რეკომენდებულია მეტად გაკონტროლდეს აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებული პუბლიკაციებისა და მათ მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების თემატიკის შესაბამისობა;
- ✓ რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული ლექტორების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლების და კურსადმთავრებულების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის მეტად ფორმალიზება, შესაბამისი ანაგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები;
- o რეკომენდებულია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი;

- o რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, რეკომენდებულია ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის;
- o რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - o სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ;
  - o პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასებისთვის მექანიზმების გამდიდრება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ფინანსების სფეროში სოციალურად პასუხისმგებელი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებას, რომელსაც ექნება: ფუნქციონალური და ტრანსფერული კომპეტენციები, სპეციალობის ღრმა და სისტემური ცოდნა, ძლიერი ანალიტიკური, სამეცნიერო კვლევითი და პრაქტიკული უნარები, რაც კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს გაანალიზონ, კრიტიკულად შეაფასონ ფინანსების თანამედროვე თეორიები, მოდელები და პრაქტიკა; დასაქმდნენ მაღალი რგოლის საფინანსო მმართველობით პოზიციებზე და ასევე გააგრძელონ უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლა. ამდენად, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები აღწერს თუ რა ცოდნისა და უნარების გამომუშავებისკენაა მიმართული პროგრამა. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლადაა ფორმულირებული, გასაგები და მიღწევადია. ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რომლის თანახმადაც უსდ მიმართულია მოამზადოს კვალიფიციური კურსდამთავრებულები და ხელი შეუწყოს მათი პიროვნული თვისებების განვითარებას, რომელიც დაეხმარება მათ ჩამოყალიბდნენ დარგის პროფესიონალებად, ამასთან უსდ-ს მისიაა საზოგადოებას შესთავაზოს საავიაციო სფეროში მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული და თანამედროვე სასწავლო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე განხორციელებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი და პროფესიული განათლება – საფრენოსნო მომზადების, საავიაციო ინჟინერიისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშვების პროცესში განხორციელებულია ბაზრის კვლევა,

ასევე, განხორციელებულია პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეხვედრის ოქმები იძლევა ინფორმაციას შეხვედრის მონაწილეებისა და მათი მხრიდან დაფიქსირებული შემოთავზებების და რეკომენდაციების შესახებ. დაწესებულებისა და თავად დამსაქმებლების თანახმად ავიაციის ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებულია მათი შემოთვაზებები და რეკომენდაციები (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტის „1.2 პროგრამის სწავლის შედეგები“ აღწერა), ამდენად, პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის და შესაბამისად, დარგის განვითარების მოთხოვნებს.

პროგრამის მიზანი საჯაროა და ხელმისაწვდომი დაწესებულების ოფიცილურ ვებ-გვერდზე: https://ssu.edu.ge/

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ავიაციის ფინანსების სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი
- დაწესებულების მისია
- დაწესებულების ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ავიასციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებელო პროგრამა აღწერს პროგრამის ფარგლებში მისაღწევ სწავლის შედეგებს: ცოდნასა და გაცნობიერებას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. პროგრამით აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, პროგრამის ფარგლებში შემუშვებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომლის მეშვეობითაც ხდება აღნიშნული შესაბამისობის დემონსტრირება, კერძოდ, პროგრამის მიზანი „ფინანსების სფეროში სოციალურად პასუხისმგებელი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება ფუნქციონალური და ტრანსფერული კომპეტენციები, სპეციალობის ღრმა თეორიული და სისტემური ცოდნა“ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს: 1.1, 1.2, 1.3; მიზანი „ფინანსების სფეროში სოციალურად პასუხისმგებელი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნებაძლიერი ანალიტიკური, სამეცნიერო კვლევითი და პრაქტიკული უნარები“ - სწავლის შედეგებს 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, 3.1.

პროგრამით აღწერილი სწავლის შედეგები რეალისტურია და მიღწევადი, შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და თავად მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში).

ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ასევე შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომლიც მეშვეობითაც ხდება დემონსტრირება პროგრამის რომელი კომპონენტით მიიღწევა პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი, სწავლის შედეგების რუკა ასევე განსაზღვრავს რა დონით უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტი კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამისშემუშვების პროცესში განხორციელებულია ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც მოხდა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ცოდნისა და უნარების იდენტიფიცირება. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ასევე განხორციელებულიაპოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრები, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეხვედრის ოქმები იძლევა ინფორმაციას შეხვედრის მონაწილეებისა და მათი მხრიდან დაფიქსირებული შემოთავაზებების და რეკომენდაციების შესახებ. დაწესებულებისა და თავად დამსაქმებლებისთანახმად ავიაციისფინანსების საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებულია მათი შემოთვაზებები და რეკომენდაციები, მაგალითად როგორიცაა პროგრამის გამდიდრება ავიაციასთან დაკავშირებული სასწავლო კურსებით (ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები) და საავიციო სიტუაციების ანალიზით.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დასტურდება დაინტერესებული

მხარეების ჩართულობა, თუმცა დამსაქმებლების შემთხვევაში რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს პროცესში არა მხოლოდ ავიაციის, არამედ, ფინანსების სფეროს სპეციალისტების ჩართულობაც, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას. ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშვებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. განსაზღვრულია აკადემიური მოსწრების ანალიზის გამოყენებით სწავლის შედეგების მიღწევის სამიზნე ნიშნულები. მექანიზმის გამოყენება და შეფასებების განხორციელება, კერძოდ, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) და სამიზნე ნიშნულების მიღწევის შეფასება დაგეგმილია სამომავლოდ. დასტურდება სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, კერძოდ შემუშავებულია კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა, რომლის საშუალებითაც კურსდამთავრებულები აფასებენ პროგრამის ფარგლებში მათ მიერ მიღწეულ სწავლის შედეგებს. რეკომენდებულია რეგულარულად განხორციელდეს სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის შეფასება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, შედეგების დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. აღნიშნული შეფასებების რეგულარულად გამოყენება ხელს შეუწყობს ისეთი საკითხების იდენტიფიცირებას, მაგალითად როგორიცაა საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასება და შედეგების უკეთ მიღწევის უზრუნველსაყოფად სათანადო რეაგირება (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტის „2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება“ აღწერა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ავიაციის ფინანსების სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამა o საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები o პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის რუკა o ბაზრის კვლევის ანგარიში o დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი ოქმები o კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები o პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები o დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები: o რეკომენდებულია რეგულარულად განხორციელდეს სწავლის შედეგების სტუდენტის მიერ მიღწევის შეფასება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, შედეგების დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება; o რეკომენდებულია უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესში დამსაქმებლების მხრიდან არა მხოლოდ ავიაციის, არამედ, ფინანსების სფეროს სპეციალისტების ჩართულობაც, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შნაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება შესაბამისი გამოცდების შედეგების საფუძველზე, რაც საერთო სამაგისტრო გამოცდასთან ერთად ითვალისწინებს უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდების ჩაბარებას, ასევე სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა. ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამოცდის ჩატარებას. ინტერვიუების დროს როგორც დაზუსტდა პროგრამაზე მისაღები სპეციალიზაციის გამოცდების ნაცვლად უნივერსიტეტი ატარებს გასაუბრებას, სადაც ასევე მოწმდება პროგრამისთვის საჭირო სფეროსთან დაკავშირებული ცოდნის დონე. რეკომენდებულია გასწორდეს და დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების პირობები როგორც პროგრამის ტექსტში, ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა არ მოხდეს მისაღებ კანდიდატთა შეცდომაში შეყვანა. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. ამდენად, პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და მოთხოვნებს, ლოგიკურია, შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე:https://ssu.edu.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში

- ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის ხელმძღვალეთან ინტერვიუს შედეგები
- დაწესებულების ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია გასწორდეს და დაზუსტდეს პროგრამაზე მიღების პირობები როგორც პროგრამის ტექსტში, ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რათა არ მოხდეს მისაღებ კანდიდატთა შეცდომაში შეყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში)

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში შემუშავებულია და მოქმედებს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“. წესი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავების და აკრედიტაციაზე წარდგენის, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების საკითხები. ავიაციის აფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშვებულია აღნიშნული წესის შესაბამისად.

ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის

(ECTS) შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი, 4 სემესტრი.

ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 95 კრედიტი განკუთვნილია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებისათვის, 20 კრედიტი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომს, 10 კრედიტი - პროფესიულ პრაქტიკას, 15 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს, ხოლო 10 კრედიტი განკუთვნილია თავისუფალი კომპონენტებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას (20 კრედიტი) და პროფესიულ პრაქტიკას (10 კრედიტი) ეთმობასწავლების ბოლო სემესტრი.

ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ფინანსების ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებული მთლიანი მოცულობაა 60 კრედიტი, საიდანაც სტუდენტი ირჩევს 15 კრედიტს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში ძირითადი სწავლის სფეროს გარკვეული სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლოას.

პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია და სათანადოდაა განსაზღვრული კომპონენტზე დაშვების წინაპირობები.

ლოგიკურია სამაგისტრო ნაშრომზე და პროფესიულ პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ, აღნიშნულ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობაა ძირითადი სფეროს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ სათანადო, კომპონენტების დასაძლევად საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი სტუდენტების დაშვებას აღნიშნულ კომპონენტებზე.

ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების შეფასების საკითხების შესწავლას, პროგრამა არ სთავაზობს სასწავლო კურსს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნებოდა უძრავი ქონების შეფასებასთან, ბიზნესის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაც. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს ფინანსების სფეროსთვის მნშვნელოვანი ისეთი საკითხები, როგორიცაა: უძრავი ქონების შეფასება, ბიზნესის შეფასება.

პროგრამის მოცულობა, სტრუქტურა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში) და პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ერთობლიობა მეტწილად შესაძლებელს ხდის პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინტერვიუების საფუძვლეზე დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობა. ინტერვიუების დროს დასახელდა კონკრეტული რეკომენდაციები,

რომელთა გათვალისწინებაც მოხდა პროგრამაზე მუშაობის პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://ssu.edu.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა o პროგრამის სასწავლო გეგმა o სილაბუსები o დაინტერესებულ მახარეებთან ინტერვიუს შედეგები o პროგრამის ხელმძღანელთან ინტერვიუს შედეგები o დაწესებულების ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/
რეკომენდაციები: ✓ რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდეს ფინანსების სფეროსთვის მნშვნელოვანი ისეთი საკითხები, როგორიცაა: უძრავი ქონების შეფასება, ბიზნესის შეფასება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის

სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომლიც მეშვეობითაც ხდება დემონსტრირება პროგრამის რომელი კომპონენტით, სასწავლო კურსით მიიღწევა პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი, სწავლის შედეგების რუკა ასევე განსაზღვრავს რა დონით უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტი, სასწავლო კურსი კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას. სწავლის შედეგების რუკის ფარგლებში პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგებისა და პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების შესაბამისობა ლოგიკურადაა განსაზღვრული. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს. სასწავლო კურსებში აღწერილი სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს (მაგისტრატურა). სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილია სათანადო მოცულობის კრედიტები და შესაბამისად, სტუდენტისთვის განკუთვნილია სამუშაო საათების სათანადო მოცულობა, მათ შორის ლოგიკურია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მოცულობა, რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო კურსებით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია სათანადო სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები (ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, ამოცანების ამოხსნა, პრეზენტაციები და სხვა), რაც იძლევა შესაძლებლობას მიღწეულ იქნას სწავლის შედეგები (დეტალებისთვის იხ. ქვესტანდარტის „2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები“ აღწერა). სასწავლო კურსების ფარგლებში ფასდება აღწერილი სწავლის შედეგები და ამ მიზნით გამოიყენება შეფასების სათანადო მეთოდები. კერძოდ, ისეთ სასწავლო კურსებში, სადაც აღწერილია ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ხსნის, მაგალითად „საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდით დანახარჯების გამოთვლა“, „დანახარჯთა უკუსვლით აღრიცხვის გამოყენებით მიღებული სარგებლის გამოთვლა“, „საქმიანობის შედეგების ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებელთა გამოთვლა“, „საწარმოს ფინანსური ანგარიშგების დადგენილი სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისად მომზადება“ და სხვა, სრულდება წერითი დავალებები, სადაც გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნა და მათი შეფასება, ან მაგალითად, სადაც სწავლის შედეგად აღწერილია ანალიზისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება „სხვადასხვა საკითხისადმი საკუთარი შეხედულების გამოხატვის უნარი“, „საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი, კონტროლის ჩატარება და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დამოუკიდებლად დასკვნის გაკეთება“ და სხვა, გამოყენებულია შეფასების ისეთი მეთოდები, როგორიცაა ინდივიდუალური პრეზენტაციების

შეფასება, ღია ტიპის თეორიული საკითხების შეფასება, რაც შესაძლებელს ხდის შეფასდეს თუ რამდენადაა მიღწეული სტუდენტის მიერ სასწავლო კურსებით აღწერილი სწავლის შედეგები. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება სასწავლო კურსების შინაარსს, მეტწილად თანამედროვეა, რიგ შემთხვევებში გამოყენებულია ასევე უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, რაც დარგში მიმდინარე პროცესების გაცნობის შესაძლებლობას იძლევა. რადგანაც საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ვთვლით, რომ შესაძლებელია სასწავლო კურსებში მეტად ინტენსიურად იყოს გამოყენებული უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა შესაბამისი ქართულენოვანი უახლესი ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი. მაგალითად სასწავლო კურსებში „ფინანსური ანგარიშგება“, „საქმიანობის შედეგების მართვა“, „ფინანსური მართვა“ სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია ACCA-ის ქართულენოვანი სახელმძღვანელოები, რომლებიც 2011 წლის თარგმანია, ხელმისაწვდომია აღნიშნული სახელმძღვანელოების ინგლისურენოვანი უახლესი გამოცემები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა o პროგრამის სასწავლო გეგმა o პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკა o სილაბუსები o პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები o პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: o რადგანაც საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ვთვლით, რომ შესაძლებელია სასწავლო კურსებში მეტად ინტენსიურად იყოს გამოყენებული უცხოენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა შესაბამისი ქართულენოვანი უახლესი ლიტერატურა არ არის ხელმისაწვდომი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ ბშესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამა ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით. პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე შესასრულებელი საკონტაქტო საათების მოცულობა 150 საათის ოდენობით. პრაქტიკის განმახორციელებლებთან ინტერვიუს საფუძვლეზე არ გამოიკვეთა აღნიშნული მოცულობის საათების პრაქტიკის ობიექტებზე გატარება. მნიშვნელოვანია გაკონტროლდეს რამდენად სრულდება საწარმოო პრაქტიკის კომპონენტით განსაზღვრული საკონტაქტო საათების მოცულობა პრაქტიკის ობიექტებზე და რაც უფრო მთავარია, რეკომენდებულია გაკონტროლდეს რამდენად მიიღწევა პრაქტიკის ობიექტებზე სწავლის ის შედეგები, რაც აღნიშნული კომპონენტითაა დადგენილი. ინტერვიუს დროს დაფიქსირდა შემთხვევა როცა სტუდენტმა პროფესიული პრაქტიკა გაიარა აეროპორტში, დაკარგული ბარგების განყოფილებაში, ასევე, პრაქტიკის ანგარიშებში სტუდენტების მიერ ძირითადად აღწერილია მგზავრებთან ურთიერთობის, მათი რეგიტრაციისა და მსგავსი ტიპის სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რაც ვერ განაპირობებს კომპონენტით მისაღწევ სწავლის შედეგებზე გასვლას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გაკონტროლდეს სად და რა ტიპის სამუშაოების შესრულებითაა დაკავებული სტუდენტი. ასევე, მნიშვნელოვანია გაკონტროლდეს ის თუ რა ტიპის მუშაობის გამოცდილების შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის განთავისუფლება პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან. ინტერვიუს დროს დასახელდა კონსულტანტად მუშაობის საწარმოო პრაქტიკად ჩათვლის შემთხვევა, აღნიშნული სამუშაო გამოცდილება ასევე ვერ განაპირობებს და ვერ უზრუნველყოფს პრატიკით დადგენილი შედეგების გამომუშავებას.

ვთვლით, რომ პრაქტიკის ობიექტზე ზემოაღნიშნული პროცესების შეფასება და სტუდენტის

მიერ მიღწეული შედეგების მონიტორინგი უაღრესად მნიშვნელოვანია, როცა საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის შედეგების უმრავლესობაზე, კერძოდ, სწავლის შედეგების 2/3-ზე მაღალი დონით „განმტკიცება“ გადის პროფესიული პრაქტიკის კომპოენენტით, მათ შორის, არის პროგრამის სწავლის შედეგი (3.1), რომელზე მაღალი დონით გასვლაც მხოლოდ პროფესიული პრაქტიკის გავლით არის უზრუნველყოფილი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, თუმცა ვთვლით, რომ გასაძლიერებელია აღნიშნული თანამშრომლობა. წარმოდგენილია 9 მემორანდუმი, მათ შორის შეთანხმება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსირეტთან, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატთან, ევროპულ საგანმანათლებლო ცენტრთან, თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრთან, რომლის ფარგლებში თანამშრომლობაცვთვლით, რომ ნაკლებად იძლევა პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, პრაქტიკული უნარების სტუდენტებისთვის გამომუშავების შესაძლებლობას. რეკომენდებულიაავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიზნით დაწესებულება თანამშორმლობდეს მეტწილად არა მხოლოდ ავიაკომპანიებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ცენტრებთან, არამედ გაძლიერდეს თანამშრომლობა სხვა ისეთ კომპანიებთანაც, სადაც შესაძლებელია ფინანსების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარების გამომუშავება. ამასთანავე, თანამშრომლობის მემორანდუმებში არ კონკრეტდება პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა.რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშორმლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითება;

სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარების მიზნით ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს სასწავლო კურსს „კვლევის მეთოდები ბიზნესში“ 6 კრედიტის მოცულობით და ასევე, სამაგისტრო ნაშრომს 20 კრედიტის მოცულობით.

სტუდენტთა კვლევითი უნარების უკეთ უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია მეტად მიექცეს ყურადღება სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხს, მოხდეს ნაშრომის შინაარსსა და სტრუქტურასთან დაკავშორებული მოთხოვნების დაცვა, აღწერილ იქნას ნაშრომში გამოყენებული კვლევის მეთოდლოგია და მეთოდები. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი“ (დამტკიცებულია რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით), სადაც დეტალურადაა აღწერილი სამაგისტრო ნაშრომების სტრუქტურასთან, შინაარსთან და გაფორმებასთან დაკავშირებული წესები და მოთხოვნები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განახლებული მოთხოვნების მიხედვით სამაგისტრო ნაშორმების შესრულება ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არ განხორციელებულა.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ავიაციის ფინანსების ამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა o სილაბუსები o პრაქტიკის ობიეტებთან გაფორმებული თანამშორმლობის მემორანდუმები o პრაქტიკის ანგარიშები o პრატიკის განმახორიელებლებთან ინტერვიუს შედეგები o სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ✓ რეკომენდებულია გაკონტროლდეს რამდენად მიიღწევა პრაქტიკის ობიექტებზე სწავლის ის შედეგები რაც საწარმოო პრაქტიკის კომპონენტითაა დადგენილი, კერძოდ, გაკონტროლდეს პრაქტიკის ობიექტზე სად და რა ტიპის სამუშაოების შესრულებით არის სტუდენტი დაკავებული; ✓ რეკომენდებულიაგაკონტროლდეს თუ რა ტიპის მუშაობის გამოცდილების შემთხვევაშია შესაძლებელი სტუდენტის განთავისუფლება პრაქტიკის კომპონენტის გავლისგან; ✓ რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშორმლობის მემორანდუმებში მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითება; ✓ რეკომენდებულიაავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების მიზნით დაწესებულება თანამშორმლობდეს მეტწილად არა მხოლოდ ავიაკომპანიებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ცენტრებთან, არამედ გაძლიერდეს თანამშრომლობა სხვა ისეთ კომპანიებთანაც, სადაც შესაძლებელია ფინანსების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული უნარების გამომუშავება. ✓ რეკომენდებულია მეტად მიექცეს ყურადღება სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ხარისხს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც ხდება პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდებისა და აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დემონსტრირება. რუკის მეშვეობით ასევე ნაჩვენებია სწავლება-სწავლის რომელი მეთოდებითა და აქტივობებით არის შესაძლებელი პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგის გამომუშავება. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია სათანადო სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები (ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსია/დებატები, შემთხვევის ანალიზი, ამოცანების ამოხსნა, პრეზენტაციები და სხვა), რაც იძლევა შესაძლებლობას მიღწეულ იქნას სწავლის შედეგები. მაგალითად, ისეთ სასწავლო კურსებში, სადაც აღწერილია ისეთი სწავლის შედეგები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ხსნის, მაგალითად „საქმიანობის სახეების მიხედვით დანახარჯთა კალკულაციის მეთოდით დანახარჯების გამოთვლა“, „დანახარჯთა უკუსვლით აღრიცხვის გამოყენებით მიღებული სარგებლის გამოთვლა“, „საქმიანობის შედეგების ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებელთა გამოთვლა“, „საწარმოს ფინანსური ანგარიშგების დადგენილი სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისად მომზადება“ და სხვა, გამოყენებულია სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა პრაქტიკული მეცადინეობები, შემთხვევების შესწავლა, სიტუაციის ანალიზი (case study), ან მაგალითად, სადაც სწავლის შედეგად აღწერილია ანალიზისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება „სხვადასხვა საკითხისადმი საკუთარი შეხედულების გამოხატვის უნარი“, „საწარმოსფინანსურიინფორმაციისმოპოვება, ანალიზი, კონტროლისჩატარებადამიღებულიინფორმაციისსაფუძველზედამოუკიდებლადდასკვნისგაკეთება“ და სხვა, გამოყენებულია სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსია/დებატები,ანალიზი, პროექტის შემუშავება და

პრეზენტაცია, რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო კურსებით აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს (მაგისტრატურა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა o სილაბუსები o პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები o პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებითგა ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების #3, 05.01.07 და უნივერსიტეტში მოქმედი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არაუმეტეს 40 ქულით. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 35%, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარია 50%. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასების საშუალებით. შუალედური შეფასება არის განმავითარებელი შეფასება (ტარდება ორჯერ), რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის მიერ დაგეგმილი კვლევის პირველად შეფასებას, სწორი მიმართულების მიცემას და უკუკავშირს თემის ხელმძღვანელის მხრიდან. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების შემთხვევაში თემის ხელმძღვანელი ყოველკვირეულად ინდივიდუალურად ხვდება სტუდენტებს მათი საჭიროების გათვალისწინებით და განიხილავს თემის ირგვლივ წამოჭრილ პრობლემურ საკითხებს. ასევე, თემის ხელმძღვანელი კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც.

სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები დადგენილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით.

სასწავლოკომპონენტისშეფასებისსისტემადეტალურადააწარმოდგენილისილაბუსებში. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები გამჭვირვალედანათელია.

როგორც ეს სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა,ისინი იღებენ უკუკავშირს აკადემიური პერსონალის მხრიდან სწავლის შედეგებზე, მათი გაუმჯობესების გზებზე, ასევე, ისინი სათანადოდ არიან ინფორმირებულნი სააპელაციო პროცედურების შესახებ, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ მას, რომლის შედეგითაც კმაყოფილები არიან. სააპელაციო პროცედურები კარგადაა ცნობილი პროგრამის სტუდენტებისთვის, რომელთა შესახებ ინფორმაციას ძირითადად იღებენ საკონსულტაციო საათების დროს, შესაბამისი სასწავლო კურსის ლექტორებისგან ანდა ადმინისტრაციისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ავიაციის ფინანსების ამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- სილაბუსები
- აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები

o პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები o საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი o საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი o დაწესებულების ვებ-გვერდი: https://ssu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტებთან ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის საკონსულტაციო საათების რაოდენობა ადეკვატურია და მათ აქვთ შესაძლებლობა განიხილონ სასწავლო კურსების, სამაგისტრო ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებული მათთვის საინტერესო საკითხები, ასევე, დაზუსტონ გარკვეული საკითხები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალან, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან. სტუდენტებს ასევე,აქვთ შესაძლებლობა გააცნონ მოსაზრებები და შეხედულებები პროგრამის განვითარების კუთხით პროგრამის ხელმძღვანელს, დეკანს, რომელსაც ზემოაღნიშნული მიზნით დადგენილი აქვს შეხვედრების კონკერტული დრო და ადგილი. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში, შეუერთდნენ სხვადასხვა სტაჟირების პროგრამას, რომლის შესახებ ინფორმაცია თითოეული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია: ინფორმირება ხდება ძირითადად, ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით, ასევე ინფორმაცია განახლებადია უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე. სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იღებენ ინფორმაციას პროცედურულ საკითხებზე, კერძოდ, კარგად იცნობენ და აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებებთან, იყენებენ ელექტრონულ ბიბლიოთეკას, რაც თავისმხრივ მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის შექმნის პროცესში. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ დატვირთვაში გათვალისწინებულია საკონსულტაციო საათები, ასევე, სტუდენტებთან კონსულტაციებისთვის აქტიურად იყენებენ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებს როგორიცაა, ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ავიაციის ფინანსების ამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა o უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები o სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები o აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

o პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევისას ხდება იმის გათვალისწინება,თუ რამდენადაა იგი ჩართული მაგისტრანტის მიერ არჩეულ თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო საქმიანობაში. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი თემასთან დაკავშირებით სამეცნიერო ნაშრომები. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს მათი გადამზადების საკითხზე, სხვადასხვა ტრენინგების, კონფერენციების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით, ასევე ადმინისტრაციასთან შეხვედრების ორგანიზებითა და დაგეგმილი სიახლეების მუდმივი გაცნობით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი“ (დამტკიცებულია რექტორის 2019 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით), რომელშიც დეტალურადაა წარმოდგენილი და გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესი და ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები. როგორც სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, მათ აქტიური კონსულტაციები აქვთ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან, ნაშრომის წერის პროცესში მაღალია მათი ჩართულობა, კერძოდ, ნაშრომის შექმნის პროცესებზე კონსულაციები, სააპელაციო და შეფასების პროცედურების გაცნობა.აგრეთვე, მაღალია

მათი ჩართულობა სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების კუთხით, როგორც გამოკითხული სტუდენტები აღნიშნავენ, ხდება მათი ინფორმირება როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო კონფერენციების შესახებ. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ავიაციის ფინანსების ამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა o შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან o შეხვედრა სტუდენტებთან o შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან o სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების პირადი საქმეები/აკადემიური ნაშრომები o საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისა და დაცვის წესი
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური	√			

მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავიაციის ფინანსებისსამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 19-ს, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშით და მოწოდებული პერსონალის სიით. აქედან 8 არის აკადემიური პერსონალი, ხოლო 11 მოწეეული. კერძოდ: 3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი. აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 4-ს,აფილირებული პროფესორი 1-ს, აფილირებული ასოცირებული პროფესორი 2-ს, აფილირებული ასისტენტ პროფესორი 1-ს, ხოლო აფილირებული ასისტენტი 1-ს.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი უმეტესწილად აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კვალიფიკაციით, ცოდნითა და გამოცდილებით, რაც დასტურდება მათი აკადემიური მუშაობის შედეგებით ბოლო 5 წლის განმავლობაში. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების შესწავლისას გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობები. კერძოდ, ზოგ შემთხვევაში არ დაასტურდება შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები (გოცაძე ანტონი - ავიაკომპანიების

პრაქტიკული ეკონომიკა; იაშვილი ცოტნე - სტრატეგიული ბრენდის მენეჯმენტი). პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. კერძოდ, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 19/5, ხოლო აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 8/11. ვინაიდან პროგრამამ 2019-20 წლებში განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის განახლება. შესაბამისად დენადობა არის მაღალი, 3/2 აკადემიურ პერსონალში და 13/10 მოწვეულ პერსონალში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დარგის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება, ბოლო 5 წლის სამეცნიერო საქმიანობით დასტურდება მისი გამოცდილება ფინანსების სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მისი მკაფიო ცოდნა და არგუმენტაცია პროგრამაში არსებული საგნების მნიშვნელობისა და მათი მიზანშეწონილობის შესახებ, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ასევე პრაქტიკული კუთხით. პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებიდან დგინდება რომ პროგრამას გააჩნია საკმარისი ადამიანისტრაციული და დამხმარე პერსონალი სწავლის პროცესის სათანადოდ მხარდასაჭერად, თუმცა თვითშეფასების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამა o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში o საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი o აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები o გამოკითხვის შედეგები o ინტერვიუებისტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: o რეკომენდებულია მეტად გაკონტროლდეს აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის განმავლობაში არსებული პუბლიკაციებისა და მათ მიერ წასაკითხი სასწავლო კურსების თემატიკის შესაბამისობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი სისტემატიურად ახდენს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევას. შეფასების შედეგები გათვალისწიებულია პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისას. საჭიროებისამებრ ხორციელდება ლექციებზე კოლეგიალური დასწრება, ხდება შეფასება, შედეგების ანალიზი და შესაბამის ლექტორთან კონსტრუქციული უკუკავშირი. უნივერსიტეტს გააჩნიადამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ადგენს პერსონალის შერჩევისა და აყვანის წესს, პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომებს და სტრატეგიას, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცედურებს, შეფასების შედგების მართვას, თუმცა უნივერსიტეტის მიერ სრულად არ ხდება ამ მექანიზმების გამოყენება, კერძოდ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება.რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით. უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. მხარდაჭერა გამოიხატება სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის, ტრენინგების, სამუშაო მივლინებების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების

დაფინანსებაში, რაც დასტურდება წარმოდგენილი ბიუჯეტით, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებით. უნივერსიტეტში ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა თემატური კონფერენციები, სადაც აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევა წარმოადგინოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები.უნივერსიტეტში ხელშეწყობილია აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის აქტიური ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორკშოფების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში. აღნიშნული აქტივობების არსებობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის კარიერულ ზრდაზე და შესაბამისად ფიქსირდება მზარდი დინამიკა მათი მხრიდან. აკადემიურ, მოწვეულ და სამეცნიერო პერსონალს, ასევე საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარტნიორი უნივერსტიტეტების და ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში რაც ასევე დასტურდება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში o აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები o პერსონალის მართვის პოლიტიკა o ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა o პერსონალის შეფასების პროცედურა o პროგრამის ბიუჯეტი o აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი o აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: ✓ რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან პროგრამის აკრედიტაციისთვის ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, ექსპერტებს არ შეეძლოთ დაეთვალიერებინათ ინფრასტრუქტურა. თუმცა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი მატერიალური რესურსით, კერძოდ სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიებით, ბიბლიოთეკით, რომელიც დაკომპლექტებულია თანამედროვე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით.

ბიბლიოთეკის ხელმძღვამნელთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ დისტანციურად მოითხოვონ და მიიღონ მათთვის საჭირო პროფესიული ლიტერატურა. ასევე, ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში, რაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომს ხდის თანამედროვე პროფესიულ გამოცემებს. უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ვიზიტამდე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოხდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის შერჩევა, ონლაინ ვიზიტის დროს დაწესებულების მხრიდან მოხდა შერჩეული სახელმძღვენლოების ელექტრონული ვერსიების წარმოდგენა, ასევე, მოხდა დაწესებულების ელექტრონული კატალოგის წარმოდგენა. ონლაინ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ელექტრონულ სამეციერო ბაზებზე წვდომა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები o ავიაციის ფინანსებისსამაგისტროპროგრამა o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში o საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსების შესახებ მიღებული პასუხები ინტერვიუების დროს o ბიბილიოთეკის ელექტრონული გზით დათვალიერება
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი იძლევა საშუალებას ცალკე შეფასდეს ავიაციის ფინანსების სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა. კერძოდ, შემოსავლები სასწავლო პროგრამის განხორციელებიდან, პროგრამის განხორციელებისთვის გაწეული პირდაპირი ხარჯები (ხელფასები, პროგრამის განვითარებაზე გაწეული ხარჯი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის განვითარებაზე გაწეული ხარჯი, სტუდენტური ღონისძიებების ხარჯი და ა.შ.), ადმინისტრაციული და სხვა ზოგად საუნივერსიტეტო ხარჯების დაფინანსებისთვის გადაცემული თანხების ალოკაცია უშუალოდ ავიაციის ფინანსების სამაგისტროსაგანმანათლებლო პროგრამაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის თვითშეფასების ანგარიში

o პროგრამის ბიუჯეტი o ინტერვიუს შედეგები ფაკულტეტის/პროგრამის ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებსა და საქმიანობას არეგულირებს უნივერსიტეტში მოქმედი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დებულება (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 23 მარტის 08/06 დადგენილებით). კონკრეტულად საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, მათ შორის ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმამათლებლო პროგრამის ხარსიხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები რეგულირდება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია რექტორის 2019 წლის 27 მაისის 08/03 დადგენილებით, მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები).

აღნშნული დოკუმენტის მიხედვით საქართველოს საავიაციო უნოვერსიტეტის ავიაციის ფინანსების მაგისტრო პროგრამის ფარგლებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტები ჩართულნი არიან გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვის ფორმებში შეტანილია ისეთი საკითხების შეფასება, როგორიცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესების, ინფრასტრუქტურის შეფასება, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის, მატერიალური ბაზის შეფასება და სხვ. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს გაეწია კონსულტაციები და მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნა პროგრამის სრულყოფის პროცესში.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში. თუმცარეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული ლექტორების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლების და კურსადმთავრებულების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის მეტად ფორმალიზება, შესაბამისი

ანაგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დებულება
- საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ავიაციის ფინანსების მაგისტრო პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ დეკანთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიური და მოწვეული ლექტორების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, დამსაქმებლების და კურსადმთავრებულების საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულობის მეტად ფორმალიზება, შესაბამისი ანაგარიშების მომზადება, სადაც გამოიკვეთება პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირებების ანალიზის დოკუმენტირება, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირებები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით საავიაციო უნივერსიტეტი იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას და დახვეწას.

პროგრამის გარე შეფასება განხორციელებულია დამსაქმებლების მიერ, თუმცა რეკომენდებულიაუზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში არა მხოლოდ ავიაციის, არამედ, ფინანსების სფეროს სპეციალისტების ჩართულობაც, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შნაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას. ასევე, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
- ინტერვიუ დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
- დამსაქმებლებთან შეხვედრის დამადასტურებელი ოქმები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულიაუზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში არა მხოლოდ ავიაციის, არამედ, ფინანსების სფეროს სპეციალისტების ჩართულობაც, განსაკუთრებით პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შნაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრული საგანმამათლებლო პროგრამების ხარსიხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად ავიაციის ფინანსების ამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების და მონიტორინგის მიზნით განსახორციელებელი აქტივობებია: 1. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით. ყოველი სასწავლო წლის ან სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ ივსება კითხვარები. დაწესებუელების მხრიდან წარმოდგენილია გამოკითხვის შედეგები. შესაბამისად, საავიაციო უნივერსიტეტის ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგში და პერიოდულ შეფასებაში მონაწილეობას იღებს აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაცული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა სტუდენტთა ელექტრონული ბაზის მეშვეობითაა შესაძლებელი).ხორციელდება სტუდენტთა სასწავლო კურსით კმაყოფილების ანალიზი. მიღებული შედეგები მუშავდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის. ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში

დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან, დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, სადაც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები და მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს. სახელდება მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციების პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.

2. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. რაც შეეხება სტუდენტთა აკადმიურ მოსწრების გაანალიზებას და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენებას, აღნიშნული მექანიზმი ჯერ არ არის ამოქმედებული და მისი განხორციელება იგეგმება სამომავლოდ. რეკომენდებულიარეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას და კერძოდ, რეკომენდებულიაავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის.

3. აღწერილი მექანიზმების თანახმად, უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი დამატებითი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების (დამტკიცებული ფორმის შესაბამისად) წარმოდგენაში.ანგარიშებში აისახება ინფორმაცია, მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ. დაწესებულების მიერ აღნიშნული შეფასების ფორმების შევსებული ნიმუშების წარმოდგენა ვერ განხორციელდა. რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

ინტერვიუს პროცესში იყო აღნიშნული, რომ მუშაობის პროცესში განხორციელდა პროგრამის

შედარება წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურპროგრამებთან, თუმცა აღნიშნული პროცესიც არაფორმალიზებულია და შესაბამისად, აღნიშნული ანალიზის შედეგებიც არ არის დოკუმენტირებული. რეკომენდებულია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი o ავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამა o ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან o ინტერვიუაკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან o თვითშეფასების ანგარიში o დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები o ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
რეკომენდაციები: o რეკომენდებულია ანალოგიურ პროგრამებთან შედარების განხორციელების პროცესი მეტად იქნეს გაანალიზებული, პროცესი ფორმალიზებული და დოკუმენტურად წარმოდგენილი; o რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, რეკომენდებულიაავიაციის ფინანსების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებამ განახორციელოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი რეგულარულად, მოახდინოს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება და გამოიყენოს შედეგები პროგრამის დახვეწისა და განვითარებისთვის; o რეკომენდებულია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o პროგრამის მონიტორინგის და პერიოდული შეფასებისთვის მექანიზმების გამდიდრება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ავიაციის ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		✓		

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სოფიო ხუნდაძე

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის</u>

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ზარნაძე

ლევან გოგოლაძე

ნიკოლოზ ბაგაური